



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი
2023-2026 წლებისათვის
(პირველი ვარიანტი)

რუსთავი

2022

შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

ადგილობრივ დონეზე გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2023 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებისთვის, 2021 წლის და 2022 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება;

თავი I

ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

რუსთავის ტერიტორიის ათვისება შუა ბრინჯაოს ხანაში, ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულის I ნახევარში დაიწყო. ამ პერიოდში რუსთავში მდინარე მტკვრის მარჯვენა მდინარისპირა პლატოზე, ტომთა ერთ-ერთი გაერთიანების კუთვნილი პირველი სამაროვანი გაჩნდა. ამ სამაროვიდან მხოლოდ ერთი ნივთი არსებობს – წითლად გამომწვარი და შავად მოხატული ქოთანის, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XVIII-XVII საუკუნეებით თარიღდება. მარცხენა ნაპირზე ამ პერიოდის კულტურული ფენები ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა.

გვიან ბრინჯაოს ხანაში – ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულის II ნახევრიდან, როცა სამხრეთ კავკასიაში რკინის მოპოვება – დამუშავება და ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის თანამდევი პროცესები დაიწყო, ეს ტერიტორიები უფრო ინტენსიურად აითვისეს. ახალი დასახლებები გაჩნდა მტკვრის ორივე ნაპირზე, სადაც წყლის სიახლოვე, ნოყიერი ნიადაგი, თავდაცვისათვის ბუნებრივად შემოზღუდული გარემო და რბილი კლიმატი ხელსაყრელ საარსებო პირობებს ქმნიდა. ნასახლარები აღმოჩენილია “რუსთავის ციხის” გორაზე, მის მოპირდაპირედ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ჩათმის მთაზე და სხვა. ამ პერიოდის ცალკეული სამარხებისა თუ სამაროვანთა გეოგრაფიაც საკმაოდ ფართოა. ამ პერიოდში მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობასა და სარწყავ მიწათმოქმედებას, განვითარებული იყო ხელოსნობის დარგები: მეთუნეობა, ლითონის, ტყავის, ხის დამუშავება და სხვა.

XI საუკუნის მემატიანის, ლეონტი მროველის მიხედვით, რუსთავი ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის ცოლმა ააშენა, შემდგომ კი შვილს – კუხოსს გადასცა, რომელმაც, ლეონტის აზრით, სათავე დაუდო ამ ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ ქართული ტომს – კუხებს. მისი მეორე ცნობის თანახმად, ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობისას, ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში, დიდ მცხეთასთან, ურბნისთან, უფლისციხესთან, სარკინესთან, კასპთან და სხვა ქალაქებთან ერთად უკვე რუსთავიც არსებულა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ იაღლუჯის მთასა და ცურტაველის ქუჩაზე აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვით V-II საუკუნეების ნამოსახლარები და სამაროვნები, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდაა დაცილებული, მაგრამ შესაძლოა ანტიკურ ეპოქაში რუსთავი, მცხეთის მსგავსად, სწორედ ცალკეულ, ურთიერთდაცილებულ უბნებად იყო გაშენებული.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსთავის შესახებ ცნობები თითქმის არ არსებობს. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე რუსთავში ერეკლე პირველმა საზამთრო რეზიდენცია მოიწყო. ვახტანგ VI-ს, რომელმაც გამაჰმადიანებულ ერეკლეს, იგივე ნაზარ-ალი ხანს ეს სასახლე დაუნგრია, კარგად ესმოდა რუსთავისა და ყარაიას ველის სამეურნეო – ეკონომიკური მნიშვნელობა. ამიტომ მან აღადგინა რუსთავის არხი, მაგრამ ქალაქის აღდგენა ვეღარ შეძლო. მიუხედავად ამისა, მცირერიცხოვანი მოსახლეობა რუსთავში მაინც დარჩა.



რუსთავის მშენებლობას საფუძველი საბჭოთა ეპოქაში, 1944 წელს, ამიერკავკასიაში უდიდესი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის პარალელურად ჩაეყარა. ახალმა სამრეწველო დაბამ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი 1948 წელს მიიღო. ამავე წელს სახელები მიენიჭა ქალაქის პირველ ქუჩებს, ეს იყო: “ახალგაზრდა კომუნარების”, “რუსთავის მშენებელთა” და “ზოსტან-ქალაქის” ქუჩები.

თანდათან განვითარდა საქალაქო ინფრასტრუქტურა, შეიქმნა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ფართო ქსელი. კიდევ ერთხელ განახლდა რუსთავის არხი. მოსახლეობა ადგილობრივი და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოყვანილი კადრების ხარჯზე იზრდებოდა. 1944 წელს გაიხსნა პირველი სკოლა, 1950 წელს გამოადნეს პირველი ქართული ფოლადი, 1954-ში - თუჯი და კოქსი, 1956 წელს კი ამიაკი.

1950 წელს გაიხსნა რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 1967 წელს – პირველი თეატრი. რუსთავი მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრად იქცა. 1988 წელს ქალაქში 35 მსხვილი საწარმო ფუნქციონირებდა. მათ შორის: მეტალურგიული კომბინატი, “აზოტის”, “ქიმიოკოს”, “ცემენტის”, “ლითონკონსტრუქციის” და “ამწეშენებელი” ქარხნები.

ფართობი და მდებარეობა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრია, ქვეყნის მასშტაბით 5 თვითმმართველი ქალაქიდან ერთ-ერთი; მისი ფართობი 73.6 კმ² არის, რაც რეგიონის საერთო ტერიტორიის 1%-ია, ხოლო ქვეყნის ფართობის 0.1% უჭირავს.

რუსთავი ქვემო ქართლის რეგიონისა და თბილისის აგლომერაციაში მყოფი ქალაქებიდან უდიდესია და რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრს წარმოადგენს. ის მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე 41,5⁰ განედსა და 41,5⁰ გრძედზე, საქართველოს დედაქალაქიდან სამხერთაღმოსავლეთის მიმართულებით, ზღვის დონიდან დაახლოებით 350 მეტრზე. დასავლეთიდან რუსთავს ესაზღვრება იალღუჯისა და ჩათმის მთები, ხოლო აღმოსავლეთით - გარდაბნისა და ფონიჭალის ველები. ქალაქს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროდ ჰყოფს მდინარე მტკვარი. ქალაქის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს ე.წ. „ძველი რუსთავის“ დასახლება, ხოლო მარჯვენაზე – ე.წ. „ახალი რუსთავი“. სანაპიროები ერთმანეთს უკავშირდება 1 კილომეტრი სიგრძის ხიდიტ. რუსთავს ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები.



ქალაქი ასევე, გამოირჩევა სტრატეგიული მდებარეობით. ის დედაქალაქის ცენტრიდან დაშორებულია 27 კილომეტრით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 20 კილომეტრით, სომხეთის რესპუბლიკის საზღვრიდან – 45 კილომეტრით, ხოლო აზერბაიჯანის საზღვრიდან – 30 კილომეტრით. თბილისისა და რუსთავის საზღვრებს შორის უმოკლესი მანძილი 7,66 კილომეტრია. რუსთავის მახლობლად გადის რეგიონული საკომუნიკაციო დერეფანი –TRACECA.


მმართველობის ორგანოები

რუსთავი წარმოადგენს თვითმმართველ ქალაქს და მინიჭებული აქვს სახელწოდება – ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი. რუსთავის ხელისუფლებას წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლება – მერია საყოველთაო, კენჭისყრის შედეგად არჩეული მერის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულოს ოცდათხუთმეტი წევრის შემადგენლობით. მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირს წარმოადგენს მერი, ხოლო საკრებულოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრთა ხმათა უმრავლესობით არჩეული თავმჯდომარე. ქალაქი დაყოფილია 10 ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულად. თითოეული ერთეულიდან არჩეულია საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ინტერესებს ხელისუფლებაში, ასევე დანიშნულია მერის წარმომადგენელი, რომელსაც აკისრია ლოკალურ დონეზე, ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მედიატორის ფუნქცია.

მოსახლეობა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი 128.8 ათას მოსახლეს ითვლის, რაც რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 30%-ია, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის - 3%. სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა რაოდენობა - 4.6 ათასია, მათ შორის: 2.2 ათასი გოგოა და 2.4 ათასი ბიჭი; ასაკით პენსიონერთა რაოდენობა - 25.5 ათ. ადამიანია; მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით ქალაქში 1 კვ.კმ-ზე 2.1 ათასი მოსახლე მოდის.

2013-2023 წლებში ასიგნებების დინამიკა



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

2023 წლისთვის, ისევე როგორც 2021-2022 წლებში შემუშავდა 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. პრიორიტეტული მიმართულებები შემდეგია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება.
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.
- განათლება.
- დასუფთავება და გარემოს დაცვა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

თავი II

ნაწილი I

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

2023-2026 წლების შემოსულობების პროგნოზი

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, 2023-2026 წლებში ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას ზრდის ტენდენცია ექნება. 2023 წლისათვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 79 988,6 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 72 988,6 ათასი ლარი იქნება, მათ შორის: გადასახადების წილი 57 725.1 ათას ლარს გაუტოლდება (ქონების გადასახადი 13 650,0 ათასი ლარი იქნება, ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადი 44 075.1 ათასი ლარი, რომელიც დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად), გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 855,9 ათასი ლარი იქნება (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი), ხოლო სხვა შემოსავლების წილი 6 407,6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივებიდან მისაღები თანხების მოცულობა 7 000,0 ათასი ლარია ნავარაუდევო.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მოცულობები 2021-2026 წლებში

							ათასი ლარი
N	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
1	ინფრასტრუქტურის განვითარება	23 934,1	44 890,3	26 105,3	22 136,9	24 469,1	26 578,2
2	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	8 924,1	11 567,8	8 335,8	8 335,8	8 355,8	9 738,9
3	განათლება	11 816,2	18 298,8	14 871,1	17 371,1	17 380,1	17 388,1
4	დასუფთავება და გარემოს დაცვა	8 728,7	8 011,8	9 139,1	9 267,8	9 270,7	9 275,6
5	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	8 060,1	12 969,7	15 646,4	15 230,1	14 896,9	14 513,6
6	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5 312,8	6 399,3	7 079,2	7 076,2	7 096,2	7 119,2

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2021-2026 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
შემოსავლები	62 866,1	77 383,5	72 988,6	75 517,8	80 468,8	83 613,6
გადასახადები	45 157,5	54 365,0	57 725,1	61 427,5	65 440,8	69 687,6
გრანტები	10 439,8	17 730,9	8 855,9	8 950,0	8 950,0	8 950,0
სხვა შემოსავლები	7 268,8	5 287,6	6 407,6	5 140,3	6 078,0	4 976,0
ხარჯები	48 113,6	72 191,9	69 503,3	69 543,4	69 286,3	70 884,2
შრომის ანაზღაურება	17 113,8	22 180,0	23 111,6	23 091,6	23 114,1	22 985,3
საქონელი და მომსახურება	13 689,1	20 732,5	21 889,9	21 913,3	21 969,4	22 002,9
პროცენტი	1 194,2	2 367,9	2 235,4	1 904,1	1 562,8	1 226,5
სუბსიდიები	4 981,6	6 085,0	5 575,0	6 175,0	6 175,0	6 175,0
გრანტები	5,0	6,0	6,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	4 336,0	4 860,4	5 499,8	5 493,8	5 502,8	5 525,8
სხვა ხარჯები	6 793,9	15 960,1	11 185,7	10 965,7	10 962,2	12 968,7
საოპერაციო სალდო	14 752,5	5 191,6	3 485,3	5 974,4	11 182,5	12 729,4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 385,3	23 120,6	1 499,2	2 799,9	8 008,1	9 610,0
ზრდა	18 416,7	29 835,7	8 499,2	6 699,9	9 008,1	10 610,0
კლება	14 031,4	6 715,1	7 000,0	3 900,0	1 000,0	1 000,0
მთლიანი სალდო	10 367,2	-17 929,1	1 986,1	3 174,5	3 174,5	3 119,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	10 121,4	-18 039,1	-1 188,3	0,0	0,0	0,0
ზრდა	10 121,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	10 121,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	18 039,1	1 188,3	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	17 719,5	1 188,3			
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	319,7	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-245,8	-110,1	-3 174,5	-3 174,5	-3 174,5	-3 119,4
კლება	245,8	110,1	3 174,5	3 174,5	3 174,5	3 119,4
საშინაო	245,8	110,1	3 174,5	3 174,5	3 174,5	3 119,4
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

ნაწილი II

გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

2021 წლის ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 62 866,1 ათ. ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 111 პროცენტია.

გადასახადების სახით მობილიზებულია 45 157,5 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 108 პროცენტია, მათ შორის:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 8 644,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 000,0 ათ. ლარი) 108 პროცენტია.
- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 15,4 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 313,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100,0 ათ. ლარი) 313 პროცენტია.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 22,3 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 3 861,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 400,0 ათ. ლარი) 161 პროცენტია.
- დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 32 300,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (31 400,9 ათ. ლარი) 103 პროცენტია.

გრანტების სახით მობილიზებულია 10 439,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9 852,3 ათ. ლარი) 106 პროცენტია, მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების სახით მობილიზებულია 30,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (65,0 ათ. ლარი) 47 პროცენტია.
- მიზნობრივი ტრანსფერის სახით მობილიზებულია 500,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (500,0 ათ. ლარი) 100 პროცენტია.
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობილიზებულია 9 909,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9 287,3 ათ. ლარი) 107 პროცენტია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 7 268,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 943,3 ათ. ლარი) 147 პროცენტია (იხ. ცხრილი).

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
სხვა შემოსავლები	4 943,3	7 268,8	147

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
შემოსავლები საკუთრებიდან	612,0	1 550,9	253
პროცენტები	400,0	1 181,5	295
ღივიღენდები	12,0	0,0	0
რენტა	200,0	369,4	185
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	109,0	254,8	234
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	91,0	114,6	126
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 751,3	2 333,1	133
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1 733,3	2 288,8	132
სანებართვო მოსაკრებელი	110,0	258,2	235
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,1	100
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,8	1,0	125
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	722,5	957,0	132
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	900,0	1 072,4	119
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არილის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0,0	0,3	300
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	18,0	44,3	246
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	18,0	44,3	246
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2 100,0	2 487,5	118
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	480,0	897,2	187

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 14 031,4 ათ. ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (10 102,1ათ. ლარი) 139 პროცენტია, სადაც 82 % მიწის გაყიდვის შემოსავლიდან არის.

2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე - 8 256,8 ათ. ლარი;
- თავდაცვა - 264,3 ათ. ლარი,
- ეკონომიკური საქმიანობა - 8 125,3 ათ. ლარი;
- გარემოს დაცვა - 9 242,7 ათ. ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 15 195,5 ათ. ლარი;
- განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია - 20 839,6 ათ. ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა - 4 606,0 ათ. ლარი;

- 2021 წლის განმავლობაში სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონრების და რეაბილიტაციაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 10 716,0 ათ. ლარი.
- განათლების სფეროს ფარგლებში დაფინანსდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი 508,9 ათ. ლარი, საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაციის დაფინანსებამ შეადგინა 170,5 ათ. ლარი; სტუდენტთა სწავლის დაფინანსებამ 420,9 ათ. ლარი.
- დასვენება, კულტურა და რელიგიის ფარგლებში მთლიანობაში გახარჯულ იქნა 9 023,4 ათ. ლარი.
- ჩატარდა გზების სარემონტო სამუშაოები, ტროტუარების რეაბილიტაციის ჩათვლით და დამონტაჟდა საგზაო და უსაფრთხოების ნიშნები, შესრულებულ იქნა 5 034,3 ათ. ლარის სამუშაო.
- განხორციელდა შენობების სახურავების სამუშაოები - 1 016,4 ათ. ლარი.
- დაფინანსდა რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებით და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯები; მოხუცებულთა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფა; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებზეც მთლიანობაში დაიხარჯა 3 825,7 ათ. ლარი.
- აუტიზმის მქონე ბავშვთა და გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ფარგლებში დაიხარჯა 446,7 ათ. ლარი.
- ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობა, განვითარებისთვის და დასუფთავება ნაჩენების გატანისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან მოხმარებულია 7 765,2 ათ. ლარი.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მაჩვენებლები

2022 წლის ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 39 210,5 ათ. ლარი, რაც 6 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (27 100,9 ათ. ლარი) 145 პროცენტია.

გადასახადების სახით მობილიზებულია 29 069,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 219,0 ათ. ლარი) 169 პროცენტია, მათ შორის:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 9 705,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 100,0 ათ. ლარი) 190 პროცენტს შეადგენს.
- მოხდა უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის დაზუტება და შეადგინა - 2,8 ათ. ლარი, რაზეც არ ყოფილა განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებელი.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 11,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12,0 ათ. ლარი) 97 პროცენტს შეადგენს.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით შემოსულია 5,5 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 132,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (346,1 ათ. ლარი) 38 პროცენტია.
- დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით მობილიზირებულია 19 216,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11 760,9 ათ. ლარი) 163 პროცენტია.

გრანტების სახით მობილიზებულია 6 428,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7 228,5 ათ. ლარი) 89 პროცენტია, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერის სახით მობილიზებულია 349,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (292,3 ათ. ლარი) 120 პროცენტია.
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობილიზებულია 6 078,5 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 901,1 ათ. ლარი) 88 პროცენტია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 3 712,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 653,4 ათ. ლარი) 140 პროცენტია (იხ. ცხრილი).

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
სხვა შემოსავლები	2 653,4	3 712,6	140
შემოსავლები საკუთრებიდან	395,0	732,9	186
პროცენტები	300,0	634,9	212
რენტა	95,0	97,9	103
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	60,0	69,9	117
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	35,0	28,0	80
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	868,4	1 200,0	138
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	860,4	1 194,3	139
სანებართვო მოსაკრებელი	90,0	144,8	161
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,4	0,8	201
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	250,0	468,0	187
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	520,0	580,6	112
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	8,0	5,8	72
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	8,0	5,8	72
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 300,0	1 374,8	106
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	90,0	404,9	450

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 3 453,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 800,0 ათ. ლარი) 91 პროცენტია, მათ შორის:

- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მობილიზებულია 3 453,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 800,0 ათ. ლარი) 91 პროცენტი

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 243,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (319,7 ათ. ლარი) 76 პროცენტია, მათ შორის:

აქციები და სხვა კაპიტალის გაყიდვიდან მობილიზებულია 243,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (319,7 ათ. ლარი) 76 პროცენტი

2022 წლის 6 თვისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე – 5 502,4 ათ. ლარი.*
- *თავდაცვა და უსაფრთხოება – 160,4 ათ. ლარი.*
- *ეკონომიკური საქმიანობა – 5 266,3 ათ. ლარი.*
- *გარემოს დაცვა – 3 790,6 ათ. ლარი.*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 10 690,5 ათ. ლარი.*
- *განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია – 12 986,8 ათ. ლარი.*
- *ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა – 2 854,9 ათ. ლარი.*

- 2022 წლის სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქიონრების და რეაბილიტაციაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 7 018,2 ათ. ლარი.
- განათლების სფეროს ფარგლებში დაფინანსდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი 354,0 ათ. ლარით. სტუდენტთა სწავლის დაფინანსებამ შეადგინა 355,8 ათ. ლარი.
- დასვენება, კულტურა და რელიგიის ფარგლებში მთლიანობაში გახარჯულ იქნა 5 169,2 ათ. ლარი.
- 2022 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის 6 თვის ხარჯმა შეადგინა 2 261,1 ათ. ლარი, გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ცენტრალური და შიდაკვარტალური გზების მდგომარეობა.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის ხარჯმა შეადგინა 3 609,6 ათ. ლარი. გრძელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება, ლიფტების რეაბილიტაცია, შიდა და გარე წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, სადარბაზოებში სენსორული სანათების დამონტაჟება და სხვა.
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის ხელშეწყობის ხარჯმა შეადგინა 4 138,1 ათ.ლარი, სპორტული და საბავშვო ინფრასტრუქტურისთვის 472,7 ათ.ლარი და კულტურული ობიექტის რეაბილიტაციისთვის 558,4 ათ.ლარი.
- დაფინანსდა რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებით და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯები; მოხუცებულთა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფა; დემოგრაფიული მდგომარეობის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველი ვარიანტი

გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებზეც მთლიანობაში დაიხარჯა 2 372,6 ათ. ლარი.

- აუტიზმის მქონე ბავშვთა და გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ფარგლებში დაიხარჯა 300,2 ათ. ლარი.
- ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობა, განვითარებისთვის და დასუფთავება ნაჩენების გატანისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან მოხმარებულია 3 010,7 ათ. ლარი.

თავი III

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტები, პროგრამები, მათი აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

ინფრასტრუქტურის განვითარება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რადგან აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება საგზაო, სანიაღვრე, გარე განათებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამები, ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა, ასევე სამომავლო სარეაბილიტაციო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადებისა და ექსპერტიზის ხარჯები. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	26 105,3	22 136,9	24 469,1	26 578,2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5 805,3	3 159,4	5 159,4	5 159,4
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	4 580,9	2 400,0	4 400,0	4 400,0
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	15,0	0,0	0,0	0,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	1 209,4	759,4	759,4	759,4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	340,8	340,8	340,8	340,8
02 02 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	340,8	340,8	340,8	340,8
02 03	გარე განათება	2 289,4	2 308,7	2 310,7	2 165,9
02 03 01	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	2 289,4	2 308,7	2 310,7	2 165,9
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	6 724,5	6 625,1	6 626,1	8 628,1
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	0,0	3 000,0	3 000,0	5 000,0

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	624,1	625,1	624,1	624,1
02 04 03	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	3 100,4	0,0	0,0	0,0
02 04 03	მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების ლიფტების რეაბილიტაცია	3 000,0	3 000,0	3 002,0	3 004,0
02 05	ზინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2 640,6	2 640,6	2 642,6	2 644,6
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 720,2	1 144,9	1 900,1	2 144,9
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	2 520,2	944,9	1 700,1	1 944,9
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	200,0	200,0	200,0	200,0
02 07	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	4 075,0	4 675,0	4 675,0	4 675,0
02 09	საპროექტო დოკუმენტაციისა და საშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	700,0	0,0	0,0	0,0
02 10	რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა	809,5	432,8	0,0	0,0

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტცემენებისა და ხელოვანების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	8 335,8	8 335,8	8 355,8	9 738,9
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3 118,0	3 118,0	3 121,0	4 487,1
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2 000,0	2 000,0	2 001,0	2 002,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1 118,0	1 118,0	1 120,0	1 122,0
05 01 03	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0	0,0	0,0	1 363,1
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	4 130,8	4 130,8	4 142,8	4 154,8
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	3 420,8	3 420,8	3 430,8	3 440,8
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების დაფინანსება	1 387,0	1 387,0	1 389,0	1 391,0
05 02 01 02	თეატრის ხელშეწყობა	1 155,8	1 155,8	1 158,8	1 161,8
05 02 01 03	მუზეუმის ხელშეწყობა	358,0	358,0	361,0	364,0
05 02 01 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	520,0	520,0	522,0	524,0
05 02 02	კულტურული ღონისძიებების განხორციელება	700,0	700,0	702,0	704,0

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების სამუალოვანი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველი ვარიანტი

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
05 02 04	რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა	10,0	10,0	10,0	10,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	267,0	267,0	270,0	273,0
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდამჭერი ღონისძიებები	267,0	267,0	270,0	273,0
05 04	სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ქვეპროგრამების ადმინისტრირების პროგრამა	820,0	820,0	822,0	824,0

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, აღზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ბავშვთა კვების რაციონს, ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს ბაღების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	14 871,1	17 371,1	17 380,1	17 388,1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	13 036,1	13 036,1	13 040,1	13 044,1
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0	3 000,0	3 000,0	3 000,0
04 03	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	740,0	740,0	743,0	746,0
04 04	სამუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია	500,0	0,0	0,0	0,0
04 05	სტუდენტთა სწავლის დაფინანსება	520,0	520,0	520,0	520,0
04 06	ზოგასაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისების პროგრამა	75,0	75,0	77,0	78,0

დასუფთავება და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად არის სამრეწველო ობიექტები, აქედან გამომდინარე დიდ მნიშვნელობას იმენს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა; მწვანე საფარის ინტენსიური ზრდა და არსებულის მოვლა-პატრონობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქის განვითარებისათვის, ამასთან ერთად უსაფრთხო გარემო და სანიტარული მდგომარეობის ყოველწლიური გაუმჯობესება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	9 139,1	9 267,8	9 270,7	9 275,6

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	5 129,0	5 229,0	5 229,0	5 229,0
03 02	მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2 582,1	2 622,8	2 622,7	2 624,6
03 03	ცხოველთა მონიტორინგი	600,0	600,0	603,0	606,0
03 04	რუსთავერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა	828,0	816,0	816,0	816,0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს ახალი მომსახურების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯებს⁷³, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამის ხარჯებს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, მუნიციპალური არქივის დაფინანსებასა და ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობის ხარჯებს. მათ შორის:

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	15 646,4	15 230,1	14 896,9	14 513,6
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საკმინაობის უზრუნველყოფა	9 236,6	9 236,6	9 241,6	9 246,6
01 01 01	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2 058,8	2 058,8	2 061,8	2 064,8
01 01 02	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	6 723,2	6 723,2	6 725,2	6 727,2
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	354,6	354,6	354,6	354,6
01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	100,0	100,0	100,0	100,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	6 409,8	5 993,5	5 655,3	5 267,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	800,0	800,0	800,0	800,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	5,0	0,0	0,0	0,0
01 02 03	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა	5 409,8	5 078,5	4 737,3	4 346,0
01 02 04	მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა	115,0	115,0	118,0	121,0
01 02 05	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	80,0	0,0	0,0	0,0

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამა კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	7 079,2	7 076,2	7 096,2	7 119,2
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1 968,3	1 968,3	1 970,3	1 972,3
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	378,3	378,3	378,3	378,3
06 01 02	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	650,0	650,0	651,0	652,0
06 01 03	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება	300,0	300,0	301,0	302,0
06 01 04	აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	460,0	460,0	460,0	460,0
06 01 05	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	180,0	180,0	180,0	180,0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	5 110,9	5 107,9	5 125,9	5 146,9
06 02 01	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	2 660,9	2 660,9	2 660,9	2 660,9
06 02 02	სარიტუალო მომსახურებები	26,0	23,0	20,0	20,0
06 02 03	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე	56,4	56,4	57,4	58,4
06 02 04	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	1 037,0	1 037,0	1 043,0	1 049,0
06 02 05	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები	39,5	39,5	41,5	43,5
06 02 06	უხუცეს მოქალაქეთა დახმარება	3,0	3,0	4,0	5,0
06 02 07	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	531,8	531,8	533,8	535,8
06 02 08	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	400,0	400,0	401,0	402,0
06 02 09	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	34,3	34,3	35,3	36,3
06 02 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	86,0	86,0	88,0	90,0
06 02 11	სტუდენტთა სოციალური დახმარება	50,0	50,0	51,0	52,0
06 02 12	სოციალური დახმარებების პროგრამა	85,0	85,0	86,0	87,0
06 02 13	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა	6,0	6,0	6,0	6,0
06 02 14	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	65,0	65,0	66,0	67,0
06 02 15	ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	20,0	20,0	21,0	22,0
06 02 16	ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	10,0	10,0	11,0	12,0